რას გულისხმობს დაზღვევა?

„Profy”-ს პლატფორმის საშუალებით გაკეთებული შეკვეთის საფუძველზე, ხელოსნის / დამლაგებლის მიერ თქვენთვის სერვისის* გაწევისას, პროფესიული ვალდებულებების განხორციელების პროცესში განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის გარეშე დაშვებული შეცდომის შედეგად თქვენს მიმართ მიყენებული ქონებრივი ზარალის ანაზღაურებას.

დაზღვევის მოქმედების ვადა

დაზღვევა ძალაში შედის თქვენს მიერ „პლატფორმით“ განსაზღვრული შეკვეთის საფუძველზე, ხელოსნის/დამლაგებლის მიერ სერვისის გაწევის დაწყებისთანავე და სრულდება სერვისის გაწევის დასრულებისთანავე.

როგორ უნდა მოიქცეთ შემთხვევის აღმოჩენისას:

- დამლაგებლის მომსახურების შემთხვევაში ზიანის აღმოჩენისას დაუკავშირდით კომპანიას დაუყოვნებლივ, სერვისის დასრულებამდე, ხოლო ხელოსნის მომსახურების შემთხვევაში - სერვისის დასრულებიდან არაუგვიანეს 24 (ოცდაოთხი) საათისა. კომპანიის საკონტაქტო ნომერია: (+995) 32 2 501 015.
- წარადგინეთ წერილობრივი პრეტენზია სატელეფონო შეტყობინებიდან არაუგვიანეს 72 საათის განმავლობაში. განაცხადში მითითებული უნდა იყოს დაშვებული შეცდომის ხასიათი და მიზეზი, პრეტენზიის ყველა გარემოება, ფაქტი, სავარაუდო ზარალის ოდენობა.
- შეინარჩუნეთ დაზიანებული ქონება ჩვენი წარმომადგენლების მოსვლამდე იმ სახით, როგორშიც ის აღმოჩნდა შემთხვევის შემდგომ.
- მოგვაწოდეთ შემთხვევასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტი, რომელიც საშუალებას იძლევა დაშვებული შეცდომის ხასიათის, მისი თანმდევი შედეგების, მიყენებული ზარალის ხასიათისა და ზომის განსასაზღვრავად. კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, ჩვენ უფლებამოსილი ვართ მოვითხოვოთ შემთხვევის დადგომის ფაქტთან დაკავშირებული დოკუმენტ(ებ)ი.

ანაზღაურების ლიმიტი

- თქვენი დაზღვევა ფარავს მაქსიმუმ 1500 ლარის ფარგლებში ხელოსნის / დამლაგებლის მიერ დაშვებული შეცდომის შედეგად თქვენს მიმართ მიყენებული ქონებრივი ზარალის ანაზღაურებას.
- ანაზღაურება გამოითვლება თქვენი ქონებისთვის მიყენებული ზიანის ოდენობის საფუძველზე, სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული ლიმიტის და სადაზღვევო თანხის ფარგლებში, ფრანშიზის (100 ლარი) გამოკლებით.
- იმ შემთხვევაში, თუ პრეტენზია არის ყალბი და თაღლითური ან ასანაზღაურებელი თანხა გაზრდილია განზრახ, უკანონო შემოსავლის მიღების მიზნით ჩვენ ვთავისუფლდებით ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულებისგან, ხოლო თუ ჩვენ მიერ ზემოაღნიშნულ შემთხვევებში უკვე გადახდილია რაიმე სახის ანაზღაურება, თქვენ ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ დაგვიბრუნოთ ანაზღაურებული თანხა.

თქვენი პრეტენზია არ ანაზღაურდება თუ იგი წარმოიქმნა, ეფუძნება ან უკავშირდება:

- არაკეთილსინდისიერ, თაღლითურ ან განზრახ ან მიზანმიმართულ ქმედებას, უხეშ გაუფრთხილებლობას;
- ნებისმიერი პროდუქტის მიწოდებას, წარმოებას, რეალიზაციას;
- ხელოსნის / დამლაგებლის ვალდებულებას, დააბრუნოს მის მიერ შესრულებული სამუშაოების (გაწეული მომსახურების) ღირებულება, ანალოგიური სახის მომსახურების ხელახალ განხორციელებას;
- დაკარგული მოგების/მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას;
- ხელოსნის / დამლაგებლის პასუხისმგებლობას პრეტენზიაზე, რომელიც დადგა დამზღვევის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას და გამოწვეულია ან უკავშირდება

რეალურ ან სავარაუდო ცილისწამებას, ან ნებისმიერი სახის დისკრედიტაცას ან სხვა ზიანის მიმყენებელ გარემოებას;

- ნებისმიერი სახის სანქციებს და ჯარიმებს;
- მორალური ზარალის ანაზღაურებას, ნებისმიერ არამატერიალურ ან არაპირდაპირ ზიანს;
- ხელოსნის / დამლაგებლის იმ საქმიანობას, რომელიც არ იყო გათვალისწინებული პლატფორმით / დაკვეთით;
- თქვენს მიერ იმ ფაქტის, სიტუაციის, გარემოების ხელოსნის / დამლაგებლისათვის შეუტყობინებლობით, რომელთაც შეიძლება მნიშვნელობა ქონდეს რისკის შეფასებისათვის/სამუშაოების მოცულობის განსაზღვრისათვის, რომელიც უნდა გეცნობებინთ სამუშაოების შესრულების დაწყების მომენტისათვის და რაც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო სამუშაოების განხორციელების პროცესში;
- სამუშაოების შესრულების არადამაკმაყოფილებელ შედეგს, სამუშოების უხარისხოდ შესრულებით გამოწვეულ ზარალს;
- უხარისხო მასალების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ზიანს;

სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პრეტენზია პირდაპირ უკავშირდება ხელოსნის / დამლაგებლის შეცდომით თქვენი ქონების მიმართ ზიანის მიყენებას;

სერვისი - ტერმინი მოიცავს მომხმარებლის მიერ მითითებული სამუშაოს შესრულების დასაწყისიდან დასრულებამდე პერიოდს.*